

**რა მიმართულებებს აძლევს ნარკოპოლიტიკას საკონსტიტუციო სასამართლოს
გადაწყვეტილება მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის თაობაზე**

1. შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გასული თვის გადაწყვეტილებით¹ მარიხუანას მოხმარების ინკრიმინირება არაკონსტიტუციურად მიიჩნია.² სასამართლოს ეს ნაბიჯი გაგრძელებაა იმ ხაზის, რომელიც მან დაახლოებით ორი წლის წინ წამოიწყო, როდესაც იმავე მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით შექმენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურად ცნო.³ იმ მკაცრი ნარკოპოლიტიკის ფონზე,⁴ რის სასარგებლოდაც სახელმწიფო აკეთებს არჩევანს, საკონსტიტუციო კონტროლი დღემდე რჩება ერთადერთ ეფექტურ მექანიზმად ამ სფეროში ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევების შესარბილებლად. ეს ფაქტი დამატებით მოტივაციას აჩენს სასამართლოს გადაწყვეტილებების ზედმიწევნით შესწავლისთვის. მასში განვითარებული მსჯელობა ხშირად ის ღერძია, რაზეც შემდეგ რეფორმის შესახებ მოკამათე მხარეთა არგუმენტები შენდება. ამდენად, ამ აქტის შინაგანი ლოგიკის ზედმიწევნით გამოკვლევა მნიშვნელოვანია, როგორც თავად მასში დადგენილი სტანდარტების ზუსტად განსასაზღვრად, ასევე იმ პერსპექტივის გასაგებად, საითკენ შეიძლება განვითარდეს პრაქტიკა. ამ მიზნით წინამდებარე სტატია შეისწავლის გადაწყვეტილებას „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

სტატია კრიტიკულად კითხულობს სასამართლოს გადაწყვეტილებას და სამი პირობითი ნაწილისგან შედგება: პირველი, შესავლისა და გადაწყვეტილებამდე

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

² სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის №1/4/592 გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁴ ამ საკითხზე ვრცლად იხ. გეგელია თ., იმნაძე გ., დავითური გ., არაეთიკური ნარკოპოლიტიკა. ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) გამოცემა, თბილისი, 2014, https://emc.org.ge/2014/05/27/araetikuri_narkopolitika/;

არსებული პერიპეტიების აღწერის შემდეგ, მიმოიხილავს სასამართლოს მიერ ამ კონკრეტულ საქმეზე დადგენილ სტანდარტს (მე-3 თავი), მეორე სასამართლოს მიერ პროპორციულობის ტესტის გამოყენებას ეხება (მე-4 თავი), ხოლო მესამე, შეჯამებამდე, ცდილობს ამოიცნოს სასამართლოს პოზიცია ამ საქმესთან თემატურად დაკავშირებულ დავებზე (მე-5 თავი).

2. გადაწყვეტილების გამოტანამდე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 მარტს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს მოქალაქე გივი შანიძემ, ხოლო 2017 წლის 24 მარტს საქართველოს მოქალაქე კონსტანტინე კირვალიძემ. ვინაიდან, დავის საგანი არსებითად მსგავსი⁵ იყო, სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელები გაერთიანდა და გამწესრიგებელი სხდომა სწორედ ამის შესაბამისად 2017 წლის პირველ ივნისს გაიმართა. შემდეგ, მოულოდნელად, სასამართლომ საქმეები ისევ განაცალკევა, პირველი არსებითად განსახილველად მიიღო,⁶ ხოლო მეორის შესახებ მსჯელობა გააგრძელა. ამ ფაქტიდან ზუსტად ორ კვირაში საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმა შეცვალა, რამაც ავტომატურად გამოიწვია კონსტანტინე კირვალიძის სარჩელისთვის საფუძვლის გამოცლა⁷ და სასამართლომ საქმე დავის საგნის არარსებობის გამო შეწყვიტა.⁸

3. გადაწყვეტილების სტანდარტი

3.1. დაცული სფერო და ჩარევა დაცულ სფეროში - თავისუფალი განვითარების უფლების „აბსოლუტური“ ნაწილი?

შანიძის საქმეში მოსარჩელე დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც ამბობს, რომ „ყველას აქვს საკუთარი თავის თავისუფალი განვითარების

⁵ თუმცა არსებობდა გარკვეული განსხვავებებიც: კონსტანტინე კირვალიძე მოითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-16 მუხლთან, მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან, 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 30-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობას, რომელიც დასჯადად აცხადებდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის დამზადებას, შემენას, შენახვას ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებას.

⁶ 2017 წლის 12 ივლისის №1/14/732 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით თუ სადავო ნორმა საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდე შეიცვალა, დავის საგანი აღარ არსებობს და საქმის წარმოება წყდება.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბერის #1/15/880 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე კონსტანტინე კირვალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

უფლება”. მოსარჩელე სასამართლოს სთხოვდა ერთმანეთისგან გაემიჯნა თავისუფალი განვითარების უფლების „შიდა” და „მოქმედებაში” გამოხატული ნაწილი.⁹ კერძოდ, ის ამტკიცებდა, რომ პირის უფლება, თავად გადაწყვიტოს საკუთარ თავთან დაკავშირებული მოქმედებები, ამ უფლების შიდა, ჩარევისგან აბსოლუტურად დაცულ სფეროში შედის,¹⁰ ხოლო იმ ასპექტების შეზღუდვას, რომელსაც აქვს გარე ეფექტები და საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს იწვევს, გააჩნია ლეგიტიმური მიზანი.¹¹ მისი გადმოსახედიდან მარიხუანას მოხმარება მე-16 მუხლის აბსოლუტურ ნაწილში ექცეოდა.¹²

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის ის არგუმენტი, რომელიც თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის შესახებ საუბრობდა. გადაწყვეტილების მიხედვით, „...პირის უფლება, თავად შეარჩიოს მისთვის სასურველი განტვირთვის სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს.”¹³ შესაბამისად, სასამართლომ მარიხუანას მოხმარებაზე სასჯელის დაწესება უფლებაში ჩარევად განიხილა. თუმცა იმავე სასამართლომ, როგორც ჩანს, არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობის ის ნაწილი, სადაც ეს უკანასკნელი სადავო საკითხს თავისუფალი განვითარების უფლების აბსოლუტურად დაცულ სფეროში აქცევდა. გადაწყვეტილება პირდაპირ არ საუბრობს, სრულად გამოირიცხება მე-16 მუხლში სახელმწიფოს ჩარევისგან თავისუფალი სივრცის არსებობა, თუ ამ კონკრეტულ დავაში არ არსებობს უფლების აბსოლუტური ნაწილით სარგებლობასთან კონფლიქტი. ის საერთოდ არ ეხება მე-16 მუხლის აბსოლუტური და რელატიური ნაწილების გამიჯვნის საკითხს. თუმცა, იქ სადაც „ვიწრო პროპორციულობაზეა” საუბარი, ნახსენებია „პიროვნული ავტონომიის პრივატულ სფეროს”,¹⁴ რაშიც, სავარაუდოდ, ის იგულისხმება, რასაც მოსარჩელე თავისუფალი განვითარების უფლების „შიდა” სფეროს უწოდებდა. „პრივატული სფეროს” ტესტის „ვიწრო პროპორციულობის” საფეხურზე განხილვა აჩვენებს, რომ სასამართლომ უარყო მისი „აბსოლუტურობის” კონცენფცია. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ინკრიმინირებული ქმედება არ იყო დაცული აბსოლუტური გარანტიით და ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვების დაწესებას.¹⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში, ის „დაცულ სფეროში” ჩარევის დადგენისთანავე შეწყვეტდა საქმის განხილვას და არაკონსტიტუციურად ცნობდა

⁹ იხ. 04-03-2016 სარჩელი N-732, <http://www.constcourt.ge/ge/court/sarchelebi>, გვ. 22.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ.I.6.

¹¹ იქვე, პ.I.6.

¹² იხ. 04-03-2016 სარჩელი N-732, გვ. 21-24.

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ.II.12.

¹⁴ იქვე, პ.II.13,14.

¹⁵ იქვე.

აბსოლუტური უფლების შეზღუდვას, რადგან შეუძლებელია კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას დაექვემდებაროს.

3.2. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

ვინაიდან, საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანას მოხმარების კრიმინალიზება მე-16 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევად მიიჩნია, ხოლო თავად მოხმარება რელატიური უფლებებით დაცული ქმედებების კატეგორიაში გაიყვანა, საჭირო გახდა იმის დადგენა, საკუთრივ რა მიზნით შეიძლება შეიზღუდოს იგი.

სასამართლოს აზრით, სამი მიზნიდან (პარლამენტის მიერ დასახელებულ ორ მიზანს, (1) ჯანმრთელობის დაცვა - ერთი მხრივ, გულისხმობს პირის მიერ საკუთარი თავისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვებისთვის ზიანის მიყენებას; დანაშაულისა და სხვა ანტისოციალური ქცევის პრევენცია¹⁶ - ერთიანობაში (2) საზოგადოებრივი უსაფრთხოება; (3) მორალური არგუმენტები), ზოგადად, პირველი ორი შეიძლება გამოდგეს თავისუფალი განვითარების უფლების შესაზღუდად, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის¹⁷ რეგულირების გამართლებისთვის.¹⁸ თუმცა, მან პრეფერენციულად დააღაგა ის საფრთხეები, რომლებიც ამ ქმედებიდან გამომდინარეობს და მიიჩნია, რომ მაგ. „მოხმარება“ არ წარმოადგენს ისეთი საშიშროების მქონე ქმედებას, როგორც გასაღება.¹⁹

სასამართლო ამ გადაწყვეტილებაში ასევე მსჯელობს ლეგალური ეკონომიკის დაცვის ინტერესზე, სახელმწიფოს სტაბილურობაზე, უსაფრთხოებასა და სუვერენობაზე,²⁰ რაც ერთიანობაში შესაძლოა აღქმულ იყოს, როგორც „სახელმწიფოს უსაფრთხოება“, თუმცა შემდეგ ის ცალკე არ გამოყოფს ამ საკითხს და ბუნდოვანი რჩება შეკითხვა, წინამდებარე დავაში „სახელმწიფო უშიშროების“ ლეგიტიმური საჯარო მიზნის დამოუკიდებლად განხილვის თაობაზე.

მას შემდეგ, რაც სასამართლომ თეორიულად დასაშვებად ჩათვალა ზემოაღნიშნული „ლეგიტიმური საჯარო მიზნების“ საფუძველზე ნარკოტიკული საშუალებების, მათ შორის მარიხუანის ბრუნვის შეზღუდვა, მომდევნო ეტაპზე მას უნდა შეეფასებინა უშუალოდ „*მარიხუანას მოხმარების დასჯადად გამოცხადება, რამდენად წარმოადგენს ... მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას.*“²¹

¹⁶ იქვე, პ. II. 18.

¹⁷ აღსანიშნავია, რომ სასამართლო ნარკოტიკული საშუალებების „უკანონო ბრუნვისთვის ხელშემწყობ ქმედებად“ მიიჩნევს, მოხმარებას, იქვე.

¹⁸ იქვე, პ. II. 19.

¹⁹ იქვე, პ. II. 21.

²⁰ იქვე, პ. II. 20.

²¹ იქვე, პ. II. 32.

3.2.1. საზოგადოებრივი უსაფრთხოება (საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და აბსისტენცია)

როგორც ზემოთ აღინიშნა, კიდევ ერთი ლეგიტიმური მიზანი, რომელთან მიმართებაშიც სასამართლომ მარიხუანას მოხმარების კრიმინალიზება შეაფასა „საზოგადოების უსაფრთხოება“ იყო. ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა დაედგინა „...რამდენად ქმნის მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი უსაფრთხოების დარღვევის მომეტებულ საფრთხეს. ამავე დროს, რამდენად რეალურია, რომ მარიხუანის მოხმარების მოთხოვნილებამ მისცეს ბიძგი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.“²² შეიძლება ითქვას, რომ, სასამართლოს ხედვით, ასეთი მონაცემების დადასტურების შემთხვევაში იარსებებდა არგუმენტი მარიხუანას მოხმარების კრიმინალიზების სასარგებლოდ ტექსტის ამ საფეხურზე (თუმცა ეს ჯერ კიდევ არ იქნებოდა საკმარისი ამის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გასამართლებლად). თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობდა.²³ მაგ. ასეთად შეიძლება მიჩნეულიყო „...კვლევა, რომ პირის ბრუტალურ, საზოგადოებისთვის საზიანო ქცევას განაპირობებს უშუალოდ მარიხუანის მოხმარება...“²⁴

საზოგადოებრივი უსაფრთხოების კონტექსტშივე განიხილა სასამართლომ ე.წ. აბსისტენციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ, იშვიათ შემთხვევებში მან ეს მდგომარეობა არ გამოორიგხა მარიხუანას მოხმარებისას, საბოლოოდ მიიჩნია, რომ „მარიხუანის შემთხვევაშიც ჰიპოთეტურია დასკვნა, რომ მისი მოხმარება აბსტინენციის ჩამოყალიბებას გამოიწვევს და აბსტინენციის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ, ნარკოტიკული საშუალების მოპოვების მიზნით დანაშაულის ჩადენას.“²⁵ აქედან შემდეგი აზრის გამოტანაა შესაძლებელი: თუ სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ ნარკოტიკულ საშუალებას აქვს აბსისტენციის განვითარების მომეტებული რესურსი, ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი რისკ ფაქტორია საზოგადოებრივ უსაფრთხოებისთვის (თუმცა ესეც ავტომატურად არ მიუთითებს სახელმწიფოს მოქმედებების პროპორციულობაზე).

ამასთან, სასამართლომ უარყო ე.წ. „კარიბჭის თეორია“²⁶, მეტიც, ის თავად მოპასუხეს შემოუბრუნა, როცა გამოთქვა ვარაუდი, რომ „მარიხუანის მოხმარების დასჯადობა შესაძლოა უფრო მეტად უწყობდეს ხელს მარიხუანის მომხმარებლის მიერ სხვა

²² იქვე, პ. II.33.

²³ იქვე, პ. II.36.

²⁴ იქვე, პ. II.34.

²⁵ იქვე, პ. II.37.

²⁶ იქვე, პ. II.39,40; „კარიბჭის თეორია“ - ხედავ, რომელიც ამტკიცებს, რომ მარიხუანას მოხმარება არის პირველი საფეხური სხვა ჯანმრთელობისთვის უფრო მძიმე შედეგების მომტან, ნარკოტიკზე გადასასვლელად.

ნარკოტიკულ საშუალებებზე გადასვლას.²⁷ სასამართლო უარყოფს ამ კონცეფციას და ამბობს, რომ ვერ ხედავს „სარწმუნო მტკიცებულებებს“ მის სასარგებლოდ.²⁸ ეს მიდგომა ახალი არ გახლავთ და ჯერ კიდევ ბექა წიქარიშვილის საქმეში არის გამოყენებული.²⁹ საინტერესოა, ასე დაჟინებით რატომ მსჯელობს სასამართლო ამაზე. აღნიშნულს ნაწილობრივ პასუხს სცემს გადაწყვეტილების სტრუქტურასთან დაკავშირებული არგუმენტი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სასამართლომ გადაწყვეტილების რა ნაწილში მოაქცია ე.წ. „კარიბჭის თეორიაზე“ მსჯელობა.³⁰ ის განხილულია არა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით, არამედ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ ნაწილში. სავარაუდოდ ამის მიზეზია, ის რასაც სასამართლო ზემოთ, აბსისტენციიდან მომდინარე საფრთხეზე მსჯელობისას ამბობს. სხვაგვრად, თუ მარიხუანას მოხმარება, ახალისებს სხვა ისეთ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე გადასვლას, რომელსაც აბსისტენცია ახასიათებს, მაშინ ეს უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. მაგრამ როგორი შეიძლება იყოს სახელმწიფოს პასუხი ასეთი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთათვის? ამაზე პასუხი გადაწყვეტილების სხვა ნაწილებშია, რომლებზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

3.2.2. საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვა

ამ საქმეში „საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის“ მიზანი მოიაზრებს თავად მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვას.³¹ სასამართლომ ამით თქვა, რომ თეორიულად დასაშვებია პირის უფლების შეზღუდვა მასზევე ზრუნვის არგუმენტით, მთავარია რა ტიპის ზიანს აყენებს პირი საკუთარ თავს და რა ინტენსივობით ერევა სახელმწიფო პირის თავისუფლებაში. ამის გასარკვევად საჭიროა სასამართლომ განიხილოს სადავო ნორმის „გამოსადეგობა“³², „აუცილებლობა“ და „ვიწრო პროპორციულობა“

3.3. აუცილებლობა

„აუცილებლობის“ საფეხურზე სასამართლომ ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის არსენალიდან ერთმანეთისგან განასხვავა რეპრესიული (ამ

²⁷ იქვე, პ. II.41.

²⁸ იქვე, პ. II.39,40.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის №1/4/592 გადაწყვეტილება, პ. II.78.

³⁰ კარიბჭის თეორიის მიხედვით მარიხუანის მოხმარება წარმოადგენს სხვა, უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების წინაპირობას. ამ თეორიის მიხედვით ისინი ვინც მოიხმარენ მარიხუანს ადრე თუ გვიან გადავლენ უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ. II.24-31;.

³² ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებას სექტურქტურული პრობლემები აქვს და „ლეგიტიმური საჯარო მიზნებში“ განსახილველი საკითხები გადატანილია „აუცილებლობაში“, შინაარსობრივად ამ ნაწილს სტატია არ განიხილავს და მხოლოდ სტრუქტურული პრობლემების ნაწილში ისაუბრებს.

შემთხვევაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით ბრძოლა) და ზრუნვაზე ორიენტირებული ნაბიჯები.³³ ცხადია, რომ ეს ორი პოლიტიკა ერთმანეთსგან თავისუფლებაში ჩარევის ინტენსივობით განსხვავდება. ტესტის ამ საფეხურის ამოცანა სწორედ იმის შეფასებაა, ხომ არ იყო შესაძლებელი იგივე მიზნის მიღწევა სხვა უფრო მსუბუქი საშუალებით, ვიდრე ეს სახელმწიფოს მიერ გამოყენებული გზაა - ამ შემთხვევაში „საზოგადოებრივი ჯანმთელობის დაცვის“ მიზანი არარეპრესიული პოლიტიკით ხომ არ შეიძლება ისევე ეფექტურად მიიღწეს, როგორც ეს რეპრესიული პოლიტიკით ხდება. თუმცა სასამართლომ ამ მსჯელობაში შესვლისგან თავი შეიკავა. მან უბრალოდ თქვა, რომ სახელმწიფოს აქვს დისკრეცია აირჩიოს ამ ორი გზიდან რომელიმე, მისი ფუნქცია კი არ არის მათ შორის „უკეთესი“ ან უფრო „მიზანშეწონილი“ დაადგინოს.³⁴ სასამართლოს ეს ერთი საფეხურით ზევით რომ დაეწერა, სარჩელი არ დაეკმაყოფილებინა და იქ დაესრულებინა მსჯელობა ყველაფერი გასაგები იქნებოდა. ის შემქნიდა სტანდარტს, რომლითაც იტყოდა: „ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ პოლიტიკის შერჩევა კანონმდებლის საქმეა, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება შეიჭრას ამ კომპეტენციაში.“ ამ ხედვის შესაბამისად, კანონმდებელს მხოლოდ „ლეგიტიმური საჯარო მიზნის“ და „გამოსადეგობს“ არსებობის დადასტურება მოეთხოვება, რომლის შემდეგაც ის თავისუფალია საკუთარ მოქმედებებში. მაგრამ მისი განზრახვა ეს არ იყო, იმავე პუნქტში გრძელდება მსჯელობას: „სასამართლომ უნდა შეაფასოს სახელმწიფოს მიერ გამოყენებული რეგულირების შესაბამისობა კონსტიტუციასთან,³⁵ რითიც სასამართლო წინააღმდეგობაში იგდებს თავს. თუ სახელმწიფო თავისუფალია „ლეგიტიმური საჯარო მიზნის“ მისაღწევად გამოსაყენებელი ინსტრუმენტების არჩევანში, თუ მას, სრული დისკრეცია აქვს მათ შორის გააკეთოს არჩევანი, მიუხედავად იმისა, მიზნის მისაღწევად რომელი საშუალებაა „უკეთესი“ ან უფრო „მიზანშეწონილი“, მაშინ „აუცილებლობის“ საფეხურზე შესაფასებელი არაფერი რჩება. იმის შესწავლა, რამდენად შეიძლება არსებობდეს იმავე მიზნის მიღწევის სხვა უფრო მსუბუქი საშუალება, თავის თავში გულისხმობს იმის დადგენას, ეს უფრო მსუბუქი საშუალება ამავდროულად „უკეთესიც“, უფრო „მიზანშეწონილიც“ ხომ არ არის („აუცილებლობა“).

გადაწყვეტილების მომდევნო ნაწილში სწორედ ეს წინააღმდეგობა უბრუნდება სასამართლოს, როდესაც ის სისხლისსამართლებრივი მექანიზმებს და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თუ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის ზიანის შემცირების პრევენციულ მექანიზმებს შორის სწორი ბალანსის უზრუნველყოფაზე იწყებს საუბარს და აცხადებს, რომ სახელმწიფომ ამ

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, კ.ი.43.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე.

პოლიტიკებიდან ის უნდა გამოიყენოს, რომელიც „შედეგზე“, „ზიანის შემცირებაზე“ და „პრაქტიკული ეფექტზე“ იქნება ორიენტირებული.³⁶ „მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი მექანიზმების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თუ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის ზიანის შემცირების პრევენციულ მექანიზმებს შორის სწორი ბალანსის უზრუნველყოფა, შედეგზე და ზიანის შემცირებაზე ორიენტირებული და პრაქტიკული ეფექტის მქონე მიდგომების გამოყენება.“³⁷ სასამართლოს მხრიდან ეს სხვა არაფერია, თუ არა იმის გარკვევა რომელია მათგან „უკეთესი“ და „უფრო მიზანშეწონილი.“

3.4. ვიწრო პროპორციულობა

სასამართლო „ვიწრო პროპორციულობის“ საფეხურზე შეეცადა იმის დადგენას რა შეთხვევაში აქვს სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ამუშავების უფლება. მან ასეთად მიიჩნია ქმედების „სოციალური საშიშროება“.³⁸ ამ ტერმინის მიღმა მოიაზრება, მაგალითად, ისეთი ქმედებები, რომლებიც „...ზიანს აყენებს სხვა პირის ან საზოგადოებრივ, სამართლებრივად დაცულ სიკეთეებს...“, ან „...იმდენად საშიშია თავისი ბუნებიდან, ხასიათიდან გამომდინარე, რომ ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯისთვის კანონმდებელი საჭიროდ არ თვლის უშუალოდ ზიანის დადგომას...“³⁹ დასჯადი ქმედება საფრთხეს უნდა უქმნიდეს სამართლებრივ სიკეთეს.⁴⁰ სასამართლოს შეჯამებით „პირადი ავტონომიის ამ ფორმით შეზღუდვისათვის სახელმწიფო მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ქმედებიდან მომდინარე მნიშვნელოვანი საფრთხეების აღმოფხვრას.“⁴¹ აქ სასამართლო მკაფიოდ ამბობს, რომ მსჯელობს მარიხუანის მოხმარების სისხლისსამართლებრივ დასჯადობაზე და მის მიერ დადგენილი სტანდარტი მხოლოდ ამას მიესადაგება. გადაწყვეტილების ამ ნაწილის მიზანმიმართულება სწორედ ქმედების კრიმინალიზაციის საფუძვლებზე საუბარია, რომ შემდეგ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა, ანუ ის შეაფასოს, მარიხუანას მოხმარების დანაშაულად გამოცხადება რამდენად შეესაბამება ამ საფუძვლებს. „...უნდა შეფასდეს, რამდენად კონსტიტუციურია სასჯელის დაწესება იმ მიზნით, რომ პირმა არ დააზიანოს საკუთარი ჯანმრთელობა,“⁴² - წერს სასამართლო. მიუხედავად ამისა, იგი, სავარაუდოდ, სცდება მის მიერვე დასახულ მიზანს, როდესაც აცხადებს, რომ „მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა“ „...შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის სფეროს... ამ მიზნით დამატებით სპეციალურ რეგულირებას შეიძლება დაექვემდებაროს მარიხუანის პროდუქციის რეკლამირება,

³⁶ იქვე, პ. II. 49.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე, პ. II. 46.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე, პ. II. 47.

არასრულწლოვანთა მიერ აღნიშნულ პროდუქტზე ხელმისაწვდომობა, საზოგადოების ინფორმირება მარიხუანის მოხმარებით გამოწვეულ შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვა.⁴³ გადაწყვეტილების ამ პუნქტში სასამართლო თითქოს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დასჯადობაზე, არამედ ზოგადად პასუხისმგებლობის სამართალზე მსჯელობს, თუმცა მომდევნოში პუნქტში ისევ სისხლის სამართალს უბრუნდება და არ ეხება ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობის შეფასებას. ცხადია, სასამართლოს obiter dictum-ის ფარგლებში გადასცდება ხოლმე მსჯელობის მკაცრ ხაზს, აქ პრობლემური არა ამგვარი გადაცდომა, არამედ ის ბუნდოვანებაა, რასაც ამ პუნქტს, როგორც მისი ადგილი (ეს სიტყვები მოქცეულია პუნქტებს შორის, სადაც სასამართლო არაორაზროვნად, მხოლოდ მარიხუანას მოხმარების კრიმინალიზაციაზე საუბრობს), ისე გადაწყვეტილების საერთო სულისკვეთება აძლევს. მაგ. მომდევნო პუნქტში სასამართლო ნორმის არაპროპორციულობას მხოლოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს და ქმედების კრიმინალიზებას იმ პირობებში, როდესაც ის არ უქმნის საფრთხეს სხვების ჯანმრთელობას, ადამიანის პიროვნული განვითარების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევად მიიჩნევს.⁴⁴

4. გადაწყვეტილების სტრუქტურა

ვინაიდან „დაცული სფეროსა“ და „დაცულ სფეროში ჩარევის“ საფეხურებზე არსებითი პრობლემები გადაწყვეტილებას არ აქვს, სტატიაში განხილვა „ლეგიტიმური საჯარო მიზნის“ საფეხურიდან იწყება.

4.1. ლეგიტიმური საჯარო მიზანი და გამოსადეგობა

სასამართლომ მე-16 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია „საზოგადოებრივი უსაფრთხოება“, თუმცა შემდგომ „გამოსადეგობის“ ეტაპზე მჯელობისას, იმ მიზეზით, რომ მარიხუანას მოხმარებას არ შეუძლია საფრთხე შეუქმნას „საზოგადოებრივ წესრიგს“ (არ იწვევს პირის ბრუტალურ, საზოგადოებისთვის საზიანო ქცევას, ან აბსისტენციას, არ წარმოადგენს კარიბჭეს სხვა ჯანმრთელობისთვის უფრო დიდი საფრთხის შემქმნელ ნარკოტიკზე გადასასვლელად), ჩააგდო და განცხადა: „*მარიხუანის მოხმარების ინდივიდუალური შემთხვევების დასჯადობა ვერ იქნება განხილული როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ვარგისი საშუალება.*“⁴⁵ ეს ასპექტი კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ ამ გადაწყვეტილებაში ყველაფერი თავის ადგილას არ არის. პროპორციულობის ტესტი აქ არასწორად არის გამოყენებული.

⁴³ იქვე, პ. II. 48.

⁴⁴ იქვე, პ. II. 50.

⁴⁵ იქვე, პ. II. 37.

„გამოსადეგობის” მოთხოვნების უფლებელყოფასთან მაშინ კი არ გვაქვს საქმე, როდესაც პირის მიერ უფლებით სარგებლობა საფრთხეს არ უქმნის „ლეგიტიმურ საჯარო მიზანს”, არამედ მაშინ როდესაც პირის ქმედებიდან ასეთი საფრთხის მოლოდინი არსებობს, მაგრამ სახელმწიფოს მიერ უფლებაშემზღუდველი ნაბიჯები საზოგადოებას ვერ აცილებს ამ საფრთხეს. ამ შემთხვევაში კი სწორედ ასეა. გადაწყვეტილების ლოგიკის მიხედვით მარიხუანას მოხმარება არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, შესაბამისად, არ არსებობს მისი სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების „ლეგიტიმური საჯარო მიზანი”. სასამართლოს ის კი არ უნდა ეთქვა, რომ მოცემულ საქმეში სახელმწიფოს ჰქონდა ასეთი მიზანი, ხოლო მისი მიღწევის გზები გამოუსადეგარი იყო, არამედ ის, რომ, მართალია, ზოგადად, „საზოგადოების უსაფრთხოების” მიზნით შესაძლოა მე-16 მუხლი შეიზღუდოს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში პირის მიერ საკუთარი უფლებით სარგებლობა არავითარ შემთხვევაში არ არის ამ საკითხთან და, შესაბამისად, არც „ლეგიტიმური საჯარო მიზანი” არსებობს. ამგვარად, სასამართლომ შეცდომა დაუშვა „საზოგადოებრივი უსაფრთხოების” „ლეგიტიმური საჯარო მიზნის” განხილვისას და „გამოსადეგობის” საფეხურზე ჩააგდო, მაშინ როცა, ის საერთოდ არ არსებობდა.

რაც შეეხება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის” მიზანს, სასამართლომ ის „აუცილებლობის” საფეხურზე განიხილა და „ვიწრო პროპორციულობაზე”. თუმცა აქ გადაწყვეტილებას სხვა პრობლემები აქვს. სასამართლომ აქ კიდევ უფრო უცნაური რამ გააკეთა. „გამოსადეგობის” ნაწილში ის კი არ დაადგინა, რამდენად მიიღწევა აღნიშნული მიზანი სახელმწიფოს მიერ დასახული გზით (ამ შემთხვევაში მარიხუანას მოხმარების სისხლისსამართლებრივი მჯავრდება რამდენად უზრუნველყოფს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას”), არამედ ის, რამდენადაა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობით” დაცული ღირებულებისთვის საფრთხის შემქნელი მარიხუანას მოხმარება, რაც არსებითად „ლეგიტიმური საჯარო მიზნის” ნაწილში განსახილველი საკითხია. სასამართლომ დაასკვნა: *„ზოგადად ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის, მარიხუანის ბრუნვის შეზღუდვა ემსახურება ადამიანების ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას...”,*⁴⁶ ხოლო, ის რაზეც უნდა ემსჯელა, ანუ აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ინსტრუმენტის გამოსადეგობის გარკვევა, გადაწყვეტილების შემდეგ ნაწილში გადადო: *„...თუმცა, ამავე დროს, უნდა შეფასდეს სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება - მარიხუანის მოხმარების დასჯადად გამოცხადება რამდენად წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას.”*⁴⁷ - ასე დაასრულა სასამართლომ „გამოსადეგობის” შესახებ მსჯელობა და საკითხი დროებით ღიად დატოვა.

4.2. აუცილებლობა

⁴⁶ იქვე, პ. II.32.

⁴⁷ იქვე.

ამის შემდეგ სასამართლო გადადის „აუცილებლობის საფეხურზე“. სადაც კონტრავერსიულ ნაბიჯს დგამს. თავდაპირველად აცხადებს, რომ „*ნარკოტიკული საშუალების ბრუნვასთან ბრძოლა სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენებით ... მიჩნეულია ნარკოტიკული საშუალების ბრუნვასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ გზად.*“⁴⁸ აქ სასამართლო საუბრობს ზოგადად ყველა ნაკოტიკული საშუალების და მათი უკანონო ბრუნვისთვის ხელშემწყობი ყველა ქმედების შესახებ, თუმცა შემდეგ, როდესაც ის მარიხუანას მოხმარებაზე კონკრეტდება (რამდენად წარმოადგენს მარიხუანის ბრუნვის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობა მასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებას⁴⁹), ექვემდებარება აყენებს, რეპრესიული პოლიტიკას. მეტიც ტესტის ზედა საფეხურზე გაკეთებული დაკვნა, რომ „*მარიხუანის მოხმარების დასჯადობა შესაძლოა უფრო მეტად უწყობდეს ხელს მარიხუანის მოხმარების მიერ სხვა ნარკოტიკულ საშუალებებზე გადასვლას,*“⁵⁰ კიდევ უფრო სათუოს ხდის სადავო ნორმის მიერ ტესტის ამ საფეხურამდე მოღწევას. ეს ორი ციტატა ერთობლიობაში სახელმწიფოს მიერ არჩეული გზის არა მხოლოდ შედარებით, არამედ საერთოდ ეფექტურობას უყენებს წყალს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ „აუცილებლობის“ საფეხური დამაყოფილებულად ჩათვალა, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მან მიიჩნია, რომ მარიხუანას მოხმარებისთვის პირის სისხლისსამართლებრივი მჯავრდება ყველაზე მსუბუქი და ეფექტური საშუალებაა ამ პირის საკუთარი თავისგანვე დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი ამის საპირისპიროსკენ მიუთითებს. ამდენად, სასამართლო ისე გადადის ტესტის შემდეგ საფეხურზე, რომ ბუნდოვნად ტოვებს სადავო ნორმის მიერ არა მხოლოდ „აუცილებლობის“, არამედ საერთოდ „გამოსადეგობის“ გადალახვის საკითხს.

ამავდროულად, სასამართლო სადავო ნორმის „აუცილებლობას“ ადგენს იმ სხვა მიზნების არათუ განხილვის, არამედ დასახელების გარეშე, რომელიც შესაძლოა იგივე მიზნის მისაღწევად, გამოიყენებოდეს სახელმწიფოს მიერ. თავისთავად იმის აღიარება, რომ საკუთარი თავისთვის მიყენებული ზიანისგან პირის დაცვის ინტერესი სახელმწიფოს შეიძლება ხელ-ფეხს უხსნიდეს ამავე პირის დასასჯელად, „აუცილებლობის“ ეტაპზე აჩენს იმის გარკვევის ლოგიკურ საჭიროებას, რა ფარდობითი უპირატესობა აქვს კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ გზას სხვა გზებთან შედარებით, რატომ არის დასჯა უფრო ეფექტური, ვიდრე სხვა პოლიტიკა. თუმცა სასამართლოს ტესტის ამ საფეხურზე გამოსაკვლევი საკითხი, კერძოდ, იყო თუ არა იმავე მიზნის მიღწევა შესაძლებელი სხვა, უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალებით, არსებითად განუხილველი რჩება. ეს იწვევს იმის განცდას, რომ, სადავო ნორმა სასამართლოს მხრიდან გამოწველილვით შესწავლის შემთხვევაში, „ვიწრო პროპორციულობამდე“ ვერ მიაღწევდა.

⁴⁸ იქვე, პ. II.44.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე, პ. II.41.

4.3. ვიწრო პროპორციულობა

სასამართლო აქაც არასწორად იყენებს ტესტს. ის წერს, რომ „პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ..., ვერ უზრუნველყოფს ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანის განმეორებითი მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებს...”.⁵¹ მსჯელობა კვლავ გამოყენებული საშუალებით მიზნების მიღწევის შეუძლებლობაზეა, რაც არა „ვიწრო პროპორციულობის”, არამედ „გამოსადეგობის” ნაწილია. „ვიწრო პროპორციულობა” იკვლევს კონკრეტულ შემთხვევაში კოლიდირებული სიკეთეებიდან რომელი მათგანი პრევალირებს, ის რომლის დაცვასაც სახელმწიფო ცდილობს, თუ ის, რომელზეც მოსარჩელე აპელირებს. ამაზე მსჯელობის ნაცვლად სასამართლო იმაზე საუბრობს, რომ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდებით სასჯელის მიზნები ვერ მიიღწევა და, თუ ეს ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, საერთოდ არ დგება საკითხი სახელმწიფოს ამოცანების და შეზღუდული უფლების კონკურენციის შესახებ, რადგან სახელმწიფოს ამოცანები, უბრალოდ არ არსებობს.

კიდევ ერთი შეცდომა: როდესაც სასამართლო „ვიწრო პროპორციულობაზე” მსჯელობს და სადავო ნორმას „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის” ლეგიტიმური მიზნის მეორე ნაწილთან⁵² (დაიცვას მესამე პირების ჯანმრთელობა) მიმართებაში განიხილავს, წერს: „რაც შეეხება სხვებისთვის ზიანის მიყენების საფრთხის თავიდან ასაცილებლად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას, მაშინ, როდესაც ასეთი საფრთხე ჰიპოთეტურია, ან საერთოდ არ არსებობს ..., მხოლოდ ზოგად პრევენციას ემსახურება, რაც მოცემულ შემთხვევაში უფლებებაში გაუმართლებელი ჩარევაა.”⁵³ აქ უკვე სასამართლო ფაქტობრივად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლეგიტიმური მიზნის ამ ასპექტის დავასთან შემხებლობას. ის ამბობს, რომ ის საფრთხე, რომელიც ლეგიტიმურ მიზანს უნდა ექმნებოდეს, საერთოდ არ არსებობს, ან იმდენად ჰიპოთეტურია, რომ არ მნიშვნელობს. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო „ვიწრო პროპორციულობაზე” მსჯელობისას აკეთებს იმას, რაც „ლეგიტიმურ მიზანზე მსჯელობისას” უნდა გაეკეთებინა, რაც იმას გამოიწვევდა, რომ „მესამე პირებისთვის ჯანმრთელობის დაცვის” „ლეგიტიმური საჯარო მიზანი” მოცემულ დავაში არარელევანტური იქნებოდა.

ანალოგიურ შეცდომას უშვებს სასამართლო, როდესაც „ვიწრო პროპორციულობაზე” მსჯელობისას ეხება მარიხუანის მოხმარების აკრძალვის მორალურ არგუმენტებს და

⁵¹ იქვე, პ. II.49.

⁵² პირველის მიხედვით სახელმწიფო იცავს თავად მომხმარებლის ჯანმრთელობას.

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ. II.49

მათ სათანადო ლეგიტიმურ მიზნად არ მიიჩნევა. ისევე როგორც, მარიხუანას მოხმარების ისეთ შედეგებს, რომელიც მხოლოდ მის ჯანმრთელობას ლახავს.⁵⁴

5. გადაწყვეტილების შედეგები

5.1. ნორმატიული რეალობა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ დარჩენილ ნორმატიულ რეალობაზე. საქმე ის არის, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, დავის მიმდინარეობისას პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში. თუ ადრე სადავო საკითხი კოდექსის 273-ე მუხლით რეგულირდებოდა, ახლა მას 273¹ მუხლის პირველი პუნქტი ეძღვნება. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, „...კვლავაც არსებობს მოსარჩელეთა უფლების დარღვევის რისკი.“⁵⁵ ეს ნორმა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგაც ძალაშია, ერთი მიზეზის გამო, სასამართლო ვერ იმსჯელებდა იმაზე რაც მოსარჩელეს გასაჩივრებული არ ჰქონია, ხოლო მოსარჩელე მას ვერ გაასაჩივრებდა, რადგან სარჩელის შეტანის დროისთვის აღნიშნული მუხლი საერთოდ არ არსებობდა. თუმცა სასამართლო მიუთითებს ამ ნორმის „დამძლევ“ ბუნებაზე.⁵⁶ ეს პასაჟი განსაკუთრებით საყურადღებოა საერთო სასამართლოებისთვის, რათა შესაბამის შემთხვევაში, თუ კონკრეტული მოსამართლის წინაშე წარსდგება პირი, რომლის ბრალდებაც ეფუძნება 273¹ მუხლის პირველ პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობილ შინაარსს, მან უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება და წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.⁵⁷

5.2. ღირსების ხელშეუხებლობა და მარიხუანას მოხმარება

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი ღირსების უფლების დარღვევის შესაძლო მინიშნებაა. სასამართლო შანიძის საქმეში პირდაპირ იყენებს იმ ტექსტს რომლითაც წიქარიშვილის საქმეში ისარგებლა და ამბობს, რომ „...საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმთავითვე მხოლოდ ზოგად პრევენციას ემსახურება, რომ სხვებმაც არ ჩაიდინონ ასოციალური და

⁵⁴ იქვე, პ. II. 55.

⁵⁵ იქვე, პ. II. 7.

⁵⁶ იხ. იქვე.

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.“ საქართველოს 1997 წლის 11 ნოემბრის ორგანული კანონი №1059 - პარლამენტის უწყებანი №45, 21.11.1997წ..

საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის გამომწვევი ქმედება,⁵⁸ ეს კი პირის ინსტრუმენტალიზაციას ნიშნავს და კონსტიტუციის მე-17 მუხლის დარღვას წარმოადგენს. როგორც ჩანს, სასამართლოს აზრით, სადავო ნორმებს, არა მხოლოდ მე-16, არამედ, მე-17 მუხლთან შესაბამისობის თვალსაზრისითაც აქვს პრობლემები. თუმცა, ვინაიდან ეს საკითხი მოსარჩელეს არ დაუყენებია, ამის შესახებ გადაწყვეტილებაში პირდაპირი მჯელობა არ არის.

5.3. კანაფის სხვა პროდუქტების დეკრიმინალიზაციის პერსპექტივა

სარჩელს თან გასდევს მოსარჩელის მცდელობა აიძულოს სასამართლო იმსჯელოს არა მხოლოდ „მარიხუანაზე“, არამედ THC-ის შემცველ ყველა პროდუქტზე. ის ამის შესახებ პირდაპირაც მიუთითებს და მაშინაც, როდესაც ითხოვს არა „მარიხუანას“, არამედ „ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანას)“ მოხმარების დეკრიმინალიზაციას.⁵⁹ ნაწილობრივ ამის გამოძახილად ჩაითვალოს გადაწყვეტილების ერთი პასაჟი, როდესაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შეფასებისას ამბობს, „*არსებითად იგივე განაცხადა საკონსტიტუციო სასამართლომ კანაფის პროდუქტების, მათ შორის, მარიხუანის მოხმარებით გამოწვეულ საფრთხეებთან დაკავშირებით ... საფრთხე, რომელიც კანაფის მოხმარებამ შესაძლოა შეუქმნას მომხმარებელს, არის უფრო მსუბუქი სხვა ე.წ. მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად გამოწვევად ზიანთან შედარებით*“.⁶⁰ ეს მკითხველს აფიქრებინებს, რომ სასამართლომ შესაძლოა ყველა იმ ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე მსჯელობისას, რომელიც კანაფიდან მზადდება, იგივე სტანდარტი გამოიყენოს რაც მარიხუანას შემთხვევაში. მითუმეტეს, რომ ექსპერტიზა მოხმარების შემდეგ ორგანიზმში ტეტრაჰიდროკანაბინოლის არსებობას იკვლევს და არა იმას, კანაფის რომელი პროდუქტის შედეგია ეს.

5.4. მარიხუანას მცირე ოდენობით პირადი მოხმარებისთვის დამზადება, შექმნა, და შენახვის დეკრიმინალიზაციის პერსპექტივა

შემდეგი კითხვა, რომელიც ამ საქმის შემდეგ გაჩნდა მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობით დამზადება-შექმნა-შენახვას შეეხება. სასამართლოს აღნიშნული საკითხი არ გამოუკვლევია. ერთი რამ, რაც შედარებით ახლოს არის პრობლემასთან ლეგიტიმურ საჯარო მიზნებზე მსჯელობისას აქვს ნათქვამი. როდესაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ხელშემწყობ ქმედებებს საზოგადოებრივი საფრთხის

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ. II.49.

⁵⁹ იხ. დასახელებული სარჩელი.

⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ. II.29.

მიხედვით ახარისხებს, სასამართლოს მოჰყავს გაეროს კონვენცია,⁶¹ რომელიც, გადაწყვეტილების მიხედვით, „მოითხოვს ისეთი ქმედების სისხლის სამართლის წესით დასჯას, ... როგორცაა - ნარკოტიკული საშუალებების დამზადება, შექმნა, შენახვა და სხვა.“⁶² თუმცა სასამართლოს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, ეს ნებისმიერი მიზნით დამზადება- შექმნა-შენახვას ეხებოდა თუ მხოლოდ ისეთს, რომელსაც პირადი მოხმარების მიზანი არ აქვს.

სასამართლოსთვის ერთ-ერთი არგუმენტი მოხმარების დეკრიმინალიზაციის სასარგებლოდ ის არის, რომ მოხმარება, ჩამოთვლილი ქმედებებისგან განსხვავებით, არ წარმოშობდა „გასაღების საფრთხეს“.⁶³ ამ ჩანაწერს სიტყვასიტყვით თუ გავიგებთ, მაშინ ის ნებისმიერ ოდენობას ასეთი საფრთხის მატარებლად მოიაზრებს და შესაბამისად სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას არ გამორიცხავს. ეს არსებითად უპირისპირდება ბექა წიქარიშვილის საქმის მთავარ სტანდარტს. აქ სასამართლომ გასაღების საფრთხის მქონედ არ მიიჩნია 70 გრამამდე მარიხუანა,⁶⁴ ამდენად, შანიძის საქმეში ნებისმიერი ოდენობის ასეთად მიჩნევა რადიკალური ცვლილებაა და სასამართლოს უფრო ნათლად უნდა ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე. თუმცა, გადაწყვეტილებაში სასამართლო ასევე ადგენს ტესტს, რომელიც პირის პასუხისმგებლობის ინტენსივობას უკავშირებს მის როლს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში.⁶⁵ ამ ლოგიკით, ვინაიდან მარიხუანას მომხმარებლის როლი უმნიშვნელოა, მისი ქმედების ინკრიმინირება არაპროპორციულია. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მარიხუანას მცირე ოდენობით, პირადი მოხმარების მიზნით დამზადება-შექმნა-შენახვას გასაღების მცირე საფრთხეს წარმოშობს და შესაბამისად ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში დიდი წილი არ შეაქვს, შესაძლოა, მან ბექა წიქარიშვილის საქმის სტანდარტი აქაც გაავრცელოს, თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო მარიხუანას მოხმარებაზე ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. თუ ის დადებითი იქნება, მაშინ დარჩება სივრცე პირადი მოხმარების მიზნით დამზადება-შექმნა-შენახვის დეკრიმინალიზაციისთვის, თუ არა - ამ შემთხვევაში იარსებებს სამსაფეხურიანი სტანდარტი, სადაც მოხმარება დეკრიმინალიზებულია, 70გრ.-მდე პირადი მოხმარების მიზნით დამზადება-შექმნა-შენახვაზე თავისუფლების აღკვეთა არ

⁶¹ „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენცია.

⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ.II.21.

⁶³ იქვე, პ.II.53.

⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის №1/4/592 გადაწყვეტილება, პ.II.95

⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ.II.54.

დაიშვება, ხოლო ოდენობა, რომელიც ობიექტურად გასაღების საფრთხეს წარმოშობს, ექვემდებარება თავისუფლების აღკვეთას.

5.5. მარიხუანას მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელის არაკონსტიტუციურად ცნობის პერსპექტივა

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ წარმოდგენილი ლოგიკა სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე აგრეთვე მიემართებოდა ადმინისტრაციულ გადაცდომასაც და აცხადებდა, რომ საბოლოო მიზანს წარმოადგენდა არა მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაცია, არამედ, საერთოდ, ამ ქმედების გამო პასუხისმგებლობის არაკონსტიტუციურად ცნობა,⁶⁶ თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტობის პრობლემა არ ჰქონდა,⁶⁷ სარჩელში ეს მოთხოვნა მაინც არ დაუყენებია. ამის გათვალისწინებით, სასამართლო მკაფიოდ შემოსაზღვრავს საკუთარი მჯელობის ფარგლებს და რამდენჯერმე მიუთითებს, რომ დავის საგანს წარმოადგენს მარიხუანას მოხმარების კრიმინალიზება (სასამართლოს სიტყვებით: „სისხლის სამართლის წესით დასჯადობა“).⁶⁸ თუმცა საინტერესოა, რამდენადაა შესაძლებელი, თუნდაც obiter dictum-ის თვალსაზრისით, ამ მსჯელობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე გავრცელება.

ცალსახად რთულია ითქვას, რომელ გზას ირჩევს სასამართლო, მხოლოდ დეკრიმინალიზაციის თუ, საერთოდ, ნებისმიერი ტიპის, მათ შორის ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების, ამის ბოლომდე გარკვევას ხელს უშლის როგორც (1) ტერმინოლოგიური აღრევა, (2) ისე სასამართლოს არგუმენტების ბუნდოვანება.

1. სასამართლო ხშირად იყენებს ტერმინს „დასჯა“, „დასჯადობა“ და „სასჯელი“, ხშირ შემთხვევაში მათ საზღვრავს სიტყვებით „სისხლის სამართლის წესით“, ან კონტექსტუალურად არის გასაგები, რომ სწორედ კრიმინალიზებაზე საუბრობს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ამ ტერმინებს არც მსაზღვრელები აქვთ და კონტექსტიც ზოგადია. ასეთი შემთხვევების ინტერპრეტირება სამგვარად არის შესაძლებელი: მკითხველი (ა) უნდა გამოვიდეს სადავო საკითხიდან და შესაბამისად ყველგან სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა იგულისხმოს; (ბ) ტერმინი მიიღოს ისე, როგორც ის დამკვიდრებულია სამართალში და შესაბამისად სისხლის სამართალი იგულისხმოს; (გ) ორიენტირისთვის კონკრეტული წინადადების კონტექსტს

⁶⁶ იქვე, პ.I.6.

⁶⁷ მოსარჩელე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის დადგენილებით, ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე. იხ. დასახელებული სარჩელი, გვ.5.

⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ.II.11,17.

მიმართოს და სადაც მას აქვს მსაზღვრელი, ან სადაც ის სისხლის სამართლის კონტექსტში არის გამოყენებული, სწორედ ამგვარად აღიქვას და სადაც ზოგადად - მასში ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობებიც იგულისხმოს.

2. სასამართლო მსჯელობისას შთაბეჭდილება, რჩება, რომ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების განსაკუთრებულ ხასიათს ითვალისწინებს საკუთარ გადაწყვეტილებაში.⁶⁹ ეს იქედანაც ჩანს, რომ არგუმენტების განხილვის დროს იგი ეხება ისეთ ასპექტებს, რომლებიც, მოცემული კონტექსტით, მხოლოდ სისხლის სამართლისთვის არის დამახასიათებელი, მაგალითად ის საუბრობს ნასამართლეობასა და სტიგმატიზაციაზე.⁷⁰ გადაწყვეტილების შემაჯამებელ პუნქტებშიც სასამართლო განსაკუთრებით ავიწროებს საკუთარ მსჯელობას და ნორმის არაკონსტიტუციურობას სისხლისსამართლებრივ დასჯადობას უკავშირებს. ის ამბობს, რომ მარიხუნა შესაძლოა ქმნიდეს საფრთხეს პირის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ეს ვერ ამართლებს მის კრიმინალიზებას.⁷¹ ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნორმის არაკონსტიტუციურობა მისი ბლანკეტურობისგან გამომდინარეობს.⁷² ხოლო კონკრეტულად რაში მდგომარეობს ბლანკეტურობა ამას იქვე განმარტავს. „...ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მარიხუნის განმეორებითი მოხმარებისთვის განტვირთვისა და გართობის მიზნით, განურჩევლად იმისა, აღნიშნული ქმედება უქმნის თუ არა საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგს, სხვა პირთა ჯანმრთელობას, ან სხვა სამართლებრივ სიკეთეს.“⁷³ მაგრამ ამ ნაწილებში სისხლის სამართალზე ყურადღების გამახვილება შეიძლება სხვა მიზეზებითაც აიხსნას. პირველ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს უფლებაში ჩარევის განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობის ჩვენება, თუმცა სულაც არ ნიშნავდეს იმას, რომ უფრო ნაკლები ინტენსივობა მისაღები იქნება სასამართლოსთვის, მეორე შემთხვევაში კი, შეჯამების დროს, სასამართლო ფრთხილობს არ შექმნას ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის „დამძლევა“ აღქმის საფუძველი.

ამ ლოგიკისთვის საინტერესოა სასამართლოს მჯელობა სახელმწიფოს როლის შესახებ „მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვისა“ და „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ განვითარების საქმეში. ის ამბობს, რომ „...ხსენებული შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის სფეროს.“⁷⁴ ამ სტანდარტში სახელმწიფოს შესაძლებლობა მარიხუნას მოხმარებისთვის დაადგინოს ადმინისტრაციული გადაცდომა ვერ ეწერება.

⁶⁹ იქვე, პ. II.16.

⁷⁰ იქვე, პ. II.49.

⁷¹ იქვე, პ. II.56.

⁷² იქვე, პ. II.57.

⁷³ იქვე.

⁷⁴ იქვე, პ. II.48.

სამწუხაროდ, როგორც გამოჩნდა, გადაწყვეტილებაში არსებობს წინააღმდეგობრიობა როგორც ტერმინოლოგიური, ისე არგუმენტების თვალსაზრისით და მასში რთულია ადმინისტრაციული სახდელის კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული სტანდარტის ამოკითხვა.

5.6.სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დეკრიმინალიზაციის პერსპექტივა

კიდევ ერთი საკითხია, რამდენად გავრცელდება ამ საქმეში დადგენილი სტანდარტები სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე. სასამართლოს მიდგომა ამ შემთხვევაშიც ამბივალენტურია. როდესაც იგი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის შეზღუდვის ლეგიტიმურ საჯარო მიზნებზე საუბრობს, მისი მსჯელობა ზოგადია და სავარაუდოა, რომ ყველა ნარკოტიკულ საშუალებას მიემართება. აქ თითქოს სასამართლოს მხოლოდ ის აინტერესებს, მესამე პირებისთვის რამდენად შეუძლია ქმედებას საფრთხის მოტანა და თავად კონკრეტული ნარკოტიკული საშუალებების ბუნებასა და მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის სიმძიმეს გამორიცხავს უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ადეკვატურობის შეფასების კრიტერიუმად (ამავე კონტექსტში ჯდება გადაწყვეტილების ცნობილი ფრაზა პატერნალიზმის შესახებ), მაგრამ ბოლო შემაჯამებელ პუნქტში მოულოდნელად შემოაქვს ახალი ცვლადი - ნარკოტიკის „მოხმარებისგან მომდინარე ჯანმრთელობის დაზიანება“. სასამართლო წერს: „ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო უფლებამოსილია, არეგულიროს ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვა [1.ვ.მ] მათი მოხმარებისგან მომდინარე ჯანმრთელობის დაზიანების თუ [2.ვ.მ.] სხვა საფრთხეებისგან საზოგადოების დაცვის მიზნით.“⁷⁵ საქმე ის არის, რომ „ყოველივე ზემოთქმულიდან“ ამ ორი კრიტერიუმიდან მხოლოდ მეორე გამომდინარეობს. რაც შეეხება პირველს, როგორც უკვე ითქვა, ის ახალია და მასზე მსჯელობას სასამართლო მხოლოდ მოგვიანებით შლის.

როდესაც სასამართლო ტესტის შემდეგ საფეხურზე („გამოსადეგობა“) გადადის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საუბარი მარიხუანას შეეხება, მეტიც, ის ცდილობს დაადგინოს რა ზიანის მოტანა შეუძლია ამ ნარკოტიკულ საშუალებას მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის, და სწორედ ამ მომენტში უკავშირდება ზემოთ ნახსენებ პირველ კრიტერიუმს (მოხმარებისგან მომდინარე ჯანმრთელობის დაზიანება).⁷⁶ სასამართლო საკმაოდ დიდ დროს უთმობს იმის გარკვევას, რა ტიპის და სიმძიმის ზიანი შეუძლია მიაყენოს მარიხუანამ მომხმარებლის ჯანმრთელობას⁷⁷ და რამდენად შედარებადია ის

⁷⁵ იქვე, პ. II.22.

⁷⁶ იქვე, პ. II.24.

⁷⁷ იქვე, პ. II.25-31.

სხვა, ლეგალურ ნივთიერებებთან (მაგ. ალკოჰოლი), რომელთა მოხმარებამაც მარიხუანას მსგავსი ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს.⁷⁸

ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ნარკოტიკული საშუალების ბრუნვის რეგულირება შეუძლია, მაშინ როდესაც ამან შესაძლოა მთელ საზოგადოებას და სახელმწიფოს შეუქმნას საფრთხე და მაშინაც როდესაც მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, სახელმწიფოს მიერ ამ რეგულირებისთვის გადადგმული ნაბიჯების ინტენსივობა დამოკიდებული იქნება იმაზეც საზოგადოებას და სახელმწიფოს რა მასშტაბის საფრთხეს უქმნის ქმედება და იმაზეც თავად ქმედების ჩამდენი პირის ჯანმრთელობას რა საფრთხეს უქმნის. ამ ეჭვს აძლიერებს სასამართლოს მიერ ნარკოტიკული საშუალებების დაყოფა სულ ცოტა ორ ჯგუფად: „ჯანმრთელობისთვის ნაკლები ზიანის მომტანი“ და „მძიმე“.⁷⁹

ასევე გასათვალისწინებელია, რომ უკვე „ვიწრო პროპორციულობის“ ეტაპზე სასამართლო მსჯელობს ბალანსის აუცილებლობაზე, რომელიც სახელმწიფომ, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის ზიანის შემცირების პრევენციულ მექანიზმებს შორის უნდა დაიცვას.⁸⁰ ეს, კიდევ ერთხელ მიუთითებს თეორიულ შესაძლებლობაზე სახელმწიფოს შემზღვეველი პოლიტიკა „ვიწროდ პროპორციული“ იყოს იმ შემთხვევაში თუ ის ამ ბალანსს არ დაარღვევს.

რაც შეეხება „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ მიზანს, რომელიც სწორედ აქვეა უცნაურად ნახსენები. სასამართლომ ის „გამოსადეგობის“ საფეხურზე უარყო და, წესით, აქ უკვე აღარ უნდა გამოეყენებინა, რადგან მას ამ დროისთვის უკვე აქტუალობა აქვს დაკარგული. სავარაუდოა, ეს კიდევ ერთი სტრუქტურული შეცდომა იყოს სასამართლოს მხრიდან, თუმცა ასევე სავარაუდოა, ეს იყოს obiter dictum (ამის გამო აღნიშნული საკითხი სტრუქტურულ ნაწილში არ არის განხილული) - შესაძლოა, სასამართლო აქ იმის მინიშნებას ცდილობს, რომ ზემოაღნიშნული ბალანსის დაცვა სახელმწიფოს არა მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში მოეთხოვება, არამედ, მაშინაც როდესაც საქმე შეეხება ისეთი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, რომელიც მარიხუანასგან განსხვავებით იწვევს საზოგადოებრივი უსაფრთხოების შელახვის რისკებს (მაგ. რომელთაც გააჩნიათ აბსისტენციის განვითარების რესურსი), და მაშინაც, როდესაც დგას არა მხოლოდ მოხმარების, არამედ ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

⁷⁸ იქვე, პ. II.25,30,31.

⁷⁹ წინამდებარე სტატიაში ნარკოტიკების დიფერენციაცია ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი შედეგების მიხედვით ეყრდნობა სასამართლოს ხედვას.

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ. II.49.

მნიშვნელოვანია რომ სასამართლო ამბობს: „პიროვნების დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავისებადი თავისუფალ საზოგადოებასთან,⁸¹ ის ესესხება იქამდე არსებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული თუ „მაღალი ალბათობით“ შექმნის „რეალურ საფრთხეს“ „ქმედების განხორციელების მომენტში“, ხოლო „პოტენციურად შეუქმნის საფრთხეს“ სხვათა ჯანმრთელობას და საზოგადოებრივ წესრიგს.⁸² რა შეიძლება იყოს ასეთი საფრთხე ამის შესახებ სასამართლო რაიმე სტანდარტს არ ადგენს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ბევრს და დაბეჯითებით მსჯელობს მარიხუანას არააბსისტენტურობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რისკების მინიმალურობაზე, შეიძლება ითქვას, რომ სხვა ნარკოტიკული საშუალების შემთხვევაში, სადაც ამის საპირისპიროს დაასკვნიდა, სავარაუდოდ, იმასაც მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს გარკვეული ნაბიჯების გადადგმის უფლება აქვს. მითუმეტეს რომ მისი ხედვით „ქმედებაზე სახელმწიფოს პასუხი უნდა მკაცრდებოდეს მხოლოდ ქმედებით გამოწვევადი საფრთხეების სიმწვავის, რეალურობის ხარისხის და მასშტაბის მიხედვით.“⁸³ ეს ფრაზა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ დასკვნას, ვინაიდან გასაგებია, რომ სასამართლო გარკვეულ ნარკოტიკულ საშუალებებს ასეთი საფრთხის შემქმნელად მიიჩნევს. საბოლოოდ ნათელია, რომ სასამართლო დიფერენცირებულ მიდგომას აირჩევს მარიხუანას და სხვა ნარკოტიკულ საშუალებებს შორის, თუმცა ის სტატუს ქვოს დაუჭერს მხარს და შეინარჩუნებს ნარკოტიკების მოხმარების ინკრიმინირებას თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით, თუ მხოლოდ ინკრიმინირებას დატოვებს თავისუფლების აღკვეთის გარეშე გადაწყვეტილებიდან, ნათლად არ ჩანს. ისევე როგორც არ ჩანს დეკრიმინალიზაციის შესახებ სასამართლოს ხედვა.

5.7. პატერნალიზმი

რაც შეეხება პატერნალიზმს, რაც ბევრმა ისე გაიგო თითქოს სასამართლო ზოგადად პატერნალიზმს მიიჩნევდეს არაკონსტიტუციურად. სინამდვილეში, ცხადია, სასამართლოს ეს არ უთქვამს, მეტიც, მას ისიც კი არ უთქვამს, რომ სახელმწიფოს ადამიანის საკუთარი თავისგან დაცვის ფუნქცია არ აქვს. მან მხოლოდ ის თქვა, რომ პატერნალიზმის ის ფორმა, რომელიც მარიხუანას მომხმარებელს სასჯელს უწესებს ქმედებისთვის, რომელიც საფრთხეს თავად მომხმარებლის გარდა არავის არ უქმნის. „იმის სავალდებულოდ დადგენა, თუ რისი ჭამა, დალევა, მოწევა შეიძლება და ამ ქმედებისათვის სასჯელის დაწესება, წარმოადგენს პირადი ავტონომიით დაცულ სფეროში ჩარევის ისეთ ფორმას, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ საჯარო ინტერესების დასაცავად. ... პიროვნების დასჯა მხოლოდ საკუთარი

⁸¹ იქვე, პ. II.50.

⁸² იქვე, პ. II.51.

⁸³ იქვე.

ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავისებადი თავისუფალ საზოგადოებასთან.⁸⁴ სასამართლო მიიჩნევს, რომ სასჯელის დაწესება მხოლოდ ისეთი ქმედებისთვისაა დასაშვები, რომელიც „საჯარო ინტერესებს“⁸⁵ უქმნის საფრთხეს.⁸⁶ სასამართლოს მიერ პატერნალიზმის ერთი ფორმის გამოყოფა უკვე ნიშნავს იმის დაშვებას, რომ პატერნალიზმის სხვა ფორმებზე მას სხვა შეფასება შეიძლება ქონდეს.

6. შეჯამება

თუ მკითხველი სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარ აზრს, რომ არ შეიძლება პირი დაისაჯოს იმ ქმედებისთვის, რომელიც მხოლოდ მას აყენებს ზიანს, გაიზიარებს და ამავროულად პროპორციულობის ტესტს ზუსტად გამოიყენებს, ლოგიკურად ასეთი გადაწყვეტილების სტრუქტურა უნდა მიიღოს: კონსტიტუციის მე-16 მუხლი მოიცავს პირის უფლებას მოიხმაროს მარიხუანა, სახელმწიფოს მიერ მისი დასჯა ამ უფლებაში ჩარევას, თუმცა ვინაიდან ეს უფლება აბსოლუტური არ არის - შესაძლებელია მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება. ამ შემთხვევაში პირის უფლება იზღუდება სახელმწიფოს მიერ მისივე ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური საჯარო მიზნით, თუმცა ამ ქმედების გამო მისი დასჯა არ არის ამ მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება, ვინაიდან ნარკოტიკის მოხმარების შესამცირებლად რეპრესიული პოლიტიკის ეფექტურობა სადავოა. უფლების შეზღუდვა საჯარო მიზნის მისაღწევად გამოუსადეგარი ინსტრუმენტით კი წარმოადგენს ამ უფლების დარღვევას. - ეს სტანდარტი განსხვავდება სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტისგან, რომელმაც ტესტის 6-ვე საფეხურზე განიხილა სადავო ნორმა, ამის საპირისპიროდ, შემოთავაზებული ხედვა, ისე რომ მთლიანად ეყრდნობა სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსს და არსებითად ახალ პარადიგმას არ სთავაზობს მკითხველს, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე მხოლოდ 4 საფეხურს განიხილავს.

რატომ არის არსებითი საკითხი, ჩათვლის თუ არა სასამართლო „გამოსადეგობის“ საფეხურს სახელმწიფოს მიერ დაკმაყოფილებულად: თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ინტერესი, დაიცვას პირი საკუთარი თავისთვის ნარკოტიკით მიყენებული ზიანისგან, ხოლო დასჯა ამ ინტერესის მისაღწევად გამოუსადეგარი ინსტრუმენტია, პოლიტიკურ დისკუსიაში თავისთავად ჩნდება სხვა,

⁸⁴ იქვე, პ. II.50.

⁸⁵ როგორც ჩანს სასამართლო, აქ ტერმინს „საჯარო ინტერესები“ ვიწრო გაგებით, ანუ იმ აზრით იყენებს, რომლის მიხედვითაც ცალკეული პირის მიერ საკუთარი თავისთვის შექმნილი საფრთხე საჯარო ინტერესს არ ღახავს. ამის საპირისპიროდ ფართო გაგებით „საჯარო ინტერესი“ ცხადია გულისხმობს ცალკეული პირის ჯანმრთელობის დაცვას, მათ შორის, თავად ამ პირის ზიანისგან.

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის №1/13/732 გადაწყვეტილება, პ. II.50.

გამოსადეგი ინსტრუმენტის განხილვის აუცილებლობა, რომელიც ამ ლეგიტიმურ ინტერესს დააკმაყოფილებდა.⁸⁷ სწორედ აქ იხსნება ფანჯარა იმ შესაძლებლობისთვის, რასაც ზრუნვაზე ორიენტირებულ ნარკოპოლიტიკას უწოდებენ და რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს არა როგორც ნეიტრალურ დამკვირვებელს, რომელიც ან გულგრილია შენ მიმართ, თუ სხვას არ უქმნი უშუალო საფრთხეს, ან პირიქით სასტიკი, თუ სხვის ცხვირს ეხები, არამედ ერთმანეთის მიმართ ემპათიით გამსჭვალული ადამიანების პოლიტიკურ ერთობად, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის საკუთარი წევრის ყოფა, რომელიც ხშირად სულაც არ არის მისი იმწუთიერი არჩევანი. ასეთ სახელმწიფოს „დასჯა-უგულებელყოფის“ პოლიტიკის მიღმა შეუძლია შექმნას რეალობა, რომელიც უზრუნველყოფს ნარკოტიკების მოხმარების პრევენციასა და ზიანის შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კანაფის პროდუქტების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით ბუნდოვანი პოზიცია დააფიქსირა. ნარკოპოლიტიკის ზემოთ განხილული ორაზროვანი ასპექტები სასამართლოს ახალ შეფასებებს ელიან, რომლებიც, იმედია, მეტად მკაფიო იქნება. თუმცა, ეს ახალი ასპექტები სასამართლოს მხრიდან გაცილებით რთულ და აკურატულ სტრუქტურულ, ლოგიკურ და ანალიტიკურ მიდგომებს მოითხოვენ. საკითხავია არსებობის ამ ეტაპზე სასამართლოს რამდენად აქვს ამ გამოწვევებზე შესაბამისი პასუხის გაცემის რესურსი. ნეგატიური შედეგები იქნება მოსალოდნელი თუ აღმოჩნდა, რომ სარჩელებმა იურიდიული აზრის განვითარების თვალსაზრისით გაასწრეს სასამართლოს. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის იმ პრობლემებს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე გადაწყვეტილებაში, გადასაწყვეტი საკითხების გართულებაასთან ერთად, სასამართლოს გაუჩნდა, როდესაც გაუჭირდა იმ თემატიკის აწევა ზოგიერთი დავა მის წინაშე რომ წამოჭრიდა. პოლიტიკური თვალსაზრისით, კი პრობლემური საკითხების მოგვარება, რომელთაც სასამართლოში შესაბამისად მომზადებული ნიადაგი არ დახვდებოდათ, მომავალში გაურკვეველი ვადით და ბედით გადაიდება.

⁸⁷ სასამართლოს არჩეული გზას კი მინიმუმამდე დაჰყავს პოლიტიკურ დისკუსიაში „დასჯა-უგულებელყოფის“ პარადიგმის მიღმა მსჯელობა. გადაწყვეტილების სტრუქტურა ამბობს: დასჯა არის მარიხუანას მოხმარების შემცირების ყველაზე ეფექტური საშუალება. თუმცა ეს საშუალება ისეთი მძიმე ჩარევაა თავისუფალი განვითარების უფლებაში, რომ არაკონსტიტუციურია. - ეს ხედავს, არაეფექტურობის დამლას ადებს ნარკოპოლიტიკის ყველა სხვა მიმართულებას, სახელმწიფოს აძლევს საშუალებას განზე გადგეს. ეს დამოკიდებულება საკუთარ იმპლიკაციებს არა იმდენად მარიხუანას მოხმარების, არამედ სხვა ჯანმრთელობისთვის უფრო მძიმე შედეგების და დამოკიდებულების მაღალი რისკის მქონე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე ჰპოვებს. მითუმეტეს, რომ სასამართლოს ხედავს ამ ტიპის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების კრიმინალიზებას, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სტრუქტურულად, არამედ შინაარსობრივადც ცალსახად ყველაზე ეფექტურ საშუალებად სახავს. ეს კი პრევენციისა ზიანის შემცირების ადგილს ნარკოპოლიტიკაში ამცირებს.